

სპეციალური მასწავლებლის და საგნის მასწავლებლის თანამშრომლობის როლი  
აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლის სწავლებისას

## ნათია წოწკოლაური

სამაგისტრო ნაშრომი წარგდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის -  
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის, - სპეციალური განათლების  
მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით, ჩემი კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, თინათინ ჭინჭარაულს, მთელი კვლევის განმავლობაში გაწეული დახმარებისთვის. ქალბატონი თინა დამეხმარა საკვლევი თემის ლიტერატურის მოძიებაში, მის მიერ მოცემული უკუკავშირი უფრო მიმარტივებდა კვლევაზე მუშაობის პროცესს. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო იმ სპეციალურ მასწავლებლებს და საგნის მასწავლებლებს, რომლებმაც მიიღეს კვლევისთვის საჭირო ანკეტის შევსებაში მონაწილეობა.

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორის მიერ აქამდე გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

29.01.2022

## აბსტრაქტი

მშოფლიოში არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და სახელმწიფო უჭერს მხარს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლებას და ცდილობს მათთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. ამ ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი წამყვანი არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელმაც გასული საუკუნიდან არაერთი დეკლარაცია შეიმუშავა სსსმ მოსწავლეების უფლებების დასაცავად.

სსსმ მოსწავლეების სწავლების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია სკოლის, მშობლის/მეურვისა და სახელმწიფოს ჩართულობა. ერთ-ერთი მთავარი, როლი აკისრია სპეციალურ მასწავლებელსა და საგნის მასწავლებელს.

სახელმწიფო შეიმუშავებს საგანმანათლებლო კანონმდებლობას და ატარებს შესაბამის პოლიტიკას, რაც ხელს უწყობს ინკლუზიური განათების მიღების შესაძლებლობას.

თანამედროვე ეტაპზე ინკლუზიური განათლების გაუმჯობესების საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ინკლუზიური განათლების განვითარებასა და სსსმ მოსწავლის სწავლებას ხელს უწყობს არაერთი კვლევა, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სსსმ მოსწავლის სასწავლო გარემოსა და მათთვის მეტად ეფექტური სწავლების მეთოდების შემუშავებაზე. მათზე დაყრდნობით შესაძლებელია გავიგოთ ის თუ როგორ შეგბიძგილა გავაუმჯობესოთ სასწავლო პირობები სსსმ ბავშვებისათვის.

სსსმ ბავშვების ინკლუზიური განათლების ადმინისტრირებისას მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და უწყვეტი დიალოგი.

ექვგარეშეა, რომ სსსმ ბავშვებისათვის სასწავლო გარემოს გაუმჯობესების საჭიროება დგას, ასევე არსებობს სურვილი, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული მიზნები დეზმიწევნით იქნეს მიღწეული, მაგრამ ეს საკმაოდ კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს რომელიც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული და საჭიროებს მასშტაბურ ადამიანურ, ტექნიკურ, ფინანსურ თუ სხვა სახის რესურსებს.

სსსმ მოსწავლის სწავლის პროცესში, რა თქმა უნდა, დიდი როლი აკისრია სკოლას, მასწავლებლებს, როგორც სპეციალურ პედაგოგს, ასე ზოგადი საგნის მასწავლებელს. მათი ჩართულობა სასწავლო გეგმის შემუშავებისას და სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას აუცილებელია. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეისობით არაერთი ტრენინგი და სასემინარო კურსი ტარდება სსსმ მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებით, ჯერ მაინც გამოწვევად რჩება სირთულეები, რომლებსაც მასწავლებლები აწყდებიან სწავლის პროცესში. თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარება და მუდმივი კომუნიკაცია სპეციალურ მასწავლებელსა და საგნის მასწავლებელს შორის პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ მთავარ იარაღს წარმოადგენს.

ბოლო წლებში საქართველოში აქტიურად ხორციელდება სპეციალური მასწავლებლების გადამზადების პროგრამა. გარდა ამისა, ყოველწლიურად მიმდინარეობს სსსმ მოსწავლის ასისტენტთა ტრენინგ-კურსები. არაერთი ორგანიზაცია ატარებს სემინარებსა და ტრენინგებს ინკლუზიური განათლების მიმართულებით, რაც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის სწავლებაში ჩართული ყველა მხარის ინფორმირებულობის გაზრდას. ცოდნა არის მთავარი გასაღები კომუნიკაციის დასამყარებლად და შესაბამისად პრობლემების მოსაგვარებლად.

წინამდებარე ნაშრომის კვლევის ობიექტი არის სპეციალური მასწავლებლები და საგნის მასწავლებლები, რომლებიც ასრულებენ ერთ-ერთ მთავარ როლს სსსმ მოსწავლის სწავლაში და მისი აკადემიური უნარების განვითარებაში. ჩატარებულმა კვლევამ და მოძიებული ინფორმაციის გაანალიზებამ და შეფასებამ აჩვენა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სპეციალური მასწავლებლისა და საგნის მასწავლებლის თანამშრომლობითი ურთიერთობა სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში.

პირველ ნაწილში განხილულია აუტისტური სპექტრის დეფინიცია, რას გულისხმობს, რა ჩარევებს საჭიროებს და რა პრობლემებს წარმოშობს. გარდა ამისა, გაანალიზებულია სხვადასხვა კვლევა, რომელშიც საუბარია სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე და აღწერს იმ გარემოებებს, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. აღნიშნულმა ინფორმაციამ, ხელი შეუწყო კვლევის დაგეგმვას, და შესაძლებელი გახდა გამოყენებული მასალის ფონზე საქართველოში ამ

მიმართულებით არსებული მდგომარეობის გაანალიზება, პრობლემების გამოკვეთა და მათი აღმოფხვრის გზების დადგენა.

მეორე ნაწილი კვლევიდან დაეთმო პრაქტიკას, რაოდენობრივ კვლევას, რომლის ანგარიშიც აერთიანებს ინფორმაციას, რაც მივიღეთ სპეციალური მასწავლებლებისა და საგნის მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარის საფუძველზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 55 მასწავლებელმა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა დადგენა თუ რა გავლენა აქვს სპეციალური მასწავლებლისა და საგნის მასწავლებლის ურთიერთობას მოსწავლის სწავლებაზე.

## **Abstract**

Numerous international organizations and states around the world support the education of students with special educational needs and try to create a favourable environment for them. One of the leaders among these organizations is the United Nations, which has developed several declarations over the past century to protect the rights of SSSM students.

School, parent/guardian and state involvement is important to improve the education of SSSM students. One of the main roles are assigned to the special teacher and the subject teacher.

The state will develop education legislation and implement appropriate policies to facilitate access to inclusive learning.

At the modern stage, the issue of improving inclusive education has become even more important. The development of inclusive education and the teaching of SSSM students is facilitated by several studies that focus on the learning environment of SSSM students and the development of highly effective teaching methods for them. Based on them, it is possible to understand how we can improve the learning conditions for children with SEN.

The involvement of the state, non-governmental organizations or other stakeholders and ongoing dialogue is an important factor in administering inclusive education for children.

There is no doubt that there is a need to improve the learning environment for children with SEN, there is also a desire to achieve the goals set by individual curricula, but this is a rather complex issue that is associated with some difficulties and requires large-scale human, technical, financial or other resources.

In the SSS student's learning process, of course, a great role is played by the school, the teachers, both the special educator and the general subject teacher. Their involvement in curriculum development and planning of various activities is essential. Even though several training and seminars are currently conducted in connection with the SSSM student's learning, the difficulties faced by teachers in the learning process remain a challenge.

Establishing collaborative relationships and constant communication between the special educator and the subject teacher is one of the main tools for solving the problem.

In recent years, a special teacher training program has been actively implemented in Georgia. In addition, training courses for SSSM student assistants are held annually. Numerous organizations conduct seminars and pieces of training in the field of inclusive education, which helps to raise the awareness of all parties involved in SSSM student education. Knowledge is the key to establishing communication and therefore solving problems.

The object of research of the present paper is special teachers and subject teachers who play one of the main roles in the learning and development of the SSSM student's academic skills. The research conducted and the analysis and evaluation of the information obtained showed how important the collaborative relationship between the special teacher and the subject teacher is in the teaching process of the SSSM student.

The first part discusses the definition of the autism spectrum, what it means, what interventions it requires, and what problems it poses. In addition, various studies have analyzed that address the needs of SSSM students and describe the circumstances that contribute to the improvement of the learning process. This information facilitated the planning of the research and made it possible to analyze the situation in Georgia in this regard, identify problems and identify ways to eliminate them in the light of the materials used.

The second part of the research was devoted to practice, quantitative research, the report of which combines the information we received based on a questionnaire filled out by special educators and subject teachers. 55 teachers participated in the study.

The study aimed to determine what impact the relationship between the special teacher and the subject teacher has on the student's teaching.